899.962.1(09)
ე-353

თბილისის ივანე ჯავახიშვილის
სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მარლანია ჯონი

მხატვრული მოტივირება ლიტერატურულ ნაწარმოებში
(აკაკი წერეთლის ეპიკური მემკვიდრეობის მიხედვით)

10. 01. 08 - ლიტერატურის თეორია

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2001

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი - *კიკაჩეიშვილი თენგიზ,*
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ოფიციალური ოპონენტები: *1. ლომიძე გივი,*
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

2. წოწორია თამილა,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

დისერტაციის დაცვა შედგება „21“ IX ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციოსაბჭოს P1002 №1 სხდომაზე. 12⁰⁰

მისამართი: 380028, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №1.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თსუ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.

მისამართი: 380047, თბილისი, უნივერსიტეტის №2.

ავტორეფერატი დაიგზავნა „10“ VII

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი,
პროფესორი *ფ. კიკაჩეიშვილი*

- 1802 -

თემის აქტუალობა: ლიტერატურულ ნაწარმოებში მხატვრული მოტივირების კვლევა ლიტერატურათმცოდნეობის მნიშვნელოვანი ამოცანაა. მხატვრული მოტივირებით, - მხატვრული სინამდვილის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტით დაინტერესება თვალსაცემია ადრეულ პერიოდში (არისტოტელე), მაგრამ მისი მეცნიერული შესწავლა სათავეს იღებს XX საუკუნის 20-იანი წლებიდან, სწორედ ამ პერიოდშიგამოქვეყნდა მეცნიერული შრომები, თუ ცალკეული გამოკვლევები მხატვრული მოტივირების შესახებ, კერძოდ, ამ საკითხმა ასახვა ჰპოვა ისეთი ცნობილი თეორეტიკოსების შრომებში, როგორებიც იყვნენ: ბ. ვ. ტომაშევსკი, ვ. ბ. შკლოვსკი, ვ. ა. პროპი და სხვა. ქართულ სინამდვილეში ლიტერატურულ ნაწარმოებში მხატვრული მოტივირების პრობლემით, სპეციალურად ცოტანი დაინტერესებულან, პრობლემა კი ღირებული და ყურადსაღებია, რადგან მასში ჩაძიებით წვდომა შესაძლებელს ხდის მხატვრული თხზულების სიუჟეტური ამბისა და მოვლენის ახსნას, შინაარსის სრულფასოვან გაგრძელებას, ხასიათების მოქმედების მოტივების ანალიზს, აგრეთვე, რაც უმნიშვნელოვანესია, ერთიანად ნაწარმოების, როგორც „დამოუკიდებელი“ მხატვრული სინამდვილის, იდეურ-ესთეტიკური ღირებულების ობიექტურად შეცნობას.

მიუხედავად იმისა, რომ აკაკი წერეთლის შემოქმედება მეცნიერულად მრავალმხრივ არის გაშუქებული, მის მხატვრულ მემკვიდრეობაში შეიძლება გამოიყოს ისეთი საკითხები, რომელთა დამუშავებას ლიტერატურათმცოდნეობაში შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა. ერთ-ერთი ასეთი საკითხია მხატვრული მოტივირების პრობლემა დიდი ქართველი შემოქმედის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში.

სადისერტაციო ნაშრომი ერთგვარად ავსებს იმ ხარვეზებს, რაც აკაკის ეპიკურ მემკვიდრეობათა მიმართ შეინიშნება ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. მათ შესწავლას კი დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც აკაკი წერეთლის მსოფლმხედველობრივი პოზიციის, ასევე მწერლის მხატვრული სამყაროს გასარკვევად.

კვლევის საგანი და მიზანი. ნაშრომის მიზანია, მხატვრული მოტივირების არსის წარმოჩენა კონკრეტული ნაწარმოების ანალიზის საფუძველზე. ხაზი გაესვას ლიტერატურულ ნაწარმოებში მის მთავარ ფუნქციას - მხატვრულ სიმართლეში დარწმუნების უნარს, აგრეთვე

ბიბლიოთეკა
ილიაჭავჭავაძის სახ. ენათმეცნ. ინსტიტუტი
ხელნაწერთა ფონდი
№